



5287/1-6/21 2 02062021

5287/1-6/21

02-06-2021

საქართველოს ფინანსთა მინისტრს

ბატონ ლაშა ხუციშვილს

ბატონო ლაშა,

მოგესენებათ, რომ სახელმწიფოს ერთიან ბიუჯეტში მითითებულია როგორც შრომის ანაზღაურებაზე, ასევე საქონელსა და მომსახურებაზე გასაწევი ხარჯები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მომაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია:

აღნიშნულ ხარჯებთან დაკავშირებით, სახელწიფო უწყებების მიხედვით ჩაშლილი და ცალ-ცალკე, 2019 წლიდან მოყოლებული დღემდე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
ლევან იოსელიანი



საქართველოს  
ფინანსთა სამინისტრო  
Ministry of Finance  
of Georgia



<https://edoc.mof.ge/public/#/>

81474-04-02-2-202106280952

N 04-02/81474  
28/06/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

განვიხილეთ, თქვენი მიმდინარე წლის 2 ივნისის N5287/1-6/21 წერილი და გაცნობებთ, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვა და ანგარიშგება ხორციელდება პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით, რაც გულისხმობს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ასიგნებების გადანაწილებას და ანგარიშგებას პროგრამების/ქვეპროგრამების შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე:

- ✓ 2019 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 12 თვის საკასო შესრულება პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით <https://mof.ge/5303> (მე-6 თავი);
- ✓ 2020 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 12 თვის საკასო შესრულება პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით <https://mof.ge/5411> (მე-6 თავი);
- ✓ 2021 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის საკასო შესრულება პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით <https://mof.ge/5433> (მე-5 თავი);
- ✓ 2021 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი <https://www.mof.ge/5355> (გეგმები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით მე-6 თავი).

ამასთან, გაცნობებთ, რომ ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული სსიპ/ა(ა)იპ-ების საკასო შესრულების შესახებ ინფორმაცია, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, კერძოდ:

- ✓ ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული სსიპ/ა(ა)იპ-ების 2019 წლის 12 თვის საკასო შესრულება <https://mof.ge/5303> (მე-7 თავი);
- ✓ ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული სსიპ/ა(ა)იპ-ების 2020 წლის 12 თვის საკასო შესრულება <https://mof.ge/5411> (მე-7 თავი);
- ✓ ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული სსიპ/ა(ა)იპ-ების 2021 წლის 3 თვის საკასო შესრულება <https://mof.ge/5433> (მე-6 თავი);
- ✓ ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული სსიპ/ა(ა)იპ-ების 2021 წლის გეგმები <https://www.mof.ge/5355> (დანართი: ინფორმაცია ცენტრალური ბიუჯეტის შესახებ);

- ✓ ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაცია (2016-2021 წლები) <https://www.mof.ge/5403>.

პატივისცემით,

გიორგი კაკაურიძე



მინისტრის პირველი მოადგილე

